სადირექტორო წერის ანალიზი

საგანი: რუსული ენა
კლასი: 5-ა
თარიღი: 28.05.2026
მასწავლებელი: ჭელიძე მარიამი.

სადირექტორო წერის ანალიზი

სადირექტორო წერა შედგებოდა 7 დავალებისაგან და მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ლექსიკური, გრამატიკული და წერითი უნარების შემოწმებას.

1-ლი დავალება ითვალისწინებდა ამინდზე მცირე მოთხრობის შედგენას.
მე-2 დავალება ამოწმებდა ზმნის ცოდნასა და უღლებას.
მე-3 დავალება იყო წერითი: მოსწავლეებს უნდა გადაეწერათ ტექსტი და გაეხაზათ ოჯახის წევრების აღმნიშვნელი სიტყვები.
მე-4 დავალებაში მოსწავლეებს კუთვნილებითი ნაცვალსახელი „мой“ სწორად უნდა შეეთავსებინათ არსებით სახელებთან სქესისა და რიცხვის გათვალისწინებით.
მე-5 დავალება მოიცავდა ლექსიკურ თემას „სკოლის ინვენტარი“, სადაც მოსწავლეებს სიტყვები შესაბამის ნახატებთან უნდა დაეკავშირებინათ.
მე-6 დავალებაში მოწმდებოდა წინდებულების „в“, „на“, „над“, „под“ სწორად გამოყენება წინადადებებში.
მე-7 დავალება ითვალისწინებდა კვირის დღეების სწორად ჩამოწერას.

შეფასების კრიტერიუმები

1 დავალება – 5 ქულა
2 დავალება – 3 ქულა
3 დავალება – 10 ქულა
(5 ქულა — ტექსტის სწორად გადაწერისთვის,
5 ქულა — ოჯახის წევრების სწორად ამოცნობისა და ხაზგასმისთვის)
4 დავალება – 6 ქულა
5 დავალება – 13 ქულა
6 დავალება – 6 ქულა
7 დავალება – 7 ქულა

მაქსიმალური ქულა: 50.

მიღებული შედეგები

- 10 ქულა — 2 მოსწავლე
- 9 ქულა — 2 მოსწავლე
- 8 ქულა — 4 მოსწავლე
- 7 ქულა — 1 მოსწავლე

- 6 ქულა — 3 მოსწავლე
- 5 ქულა — 0 მოსწავლე

სადირექტორო წერის შედეგებმა აჩვენა, რომ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ სასწავლო მასალა დამაკმაყოფილებელ და მაღალ დონეზე აითვისა. განსაკუთრებით წარმატებით შესრულდა ლექსიკური დავალებები, ვიზუალურ მასალასთან მუშაობა, კვირის დღეების სწორად ჩამოწერა და ოჯახის წევრების აღმნიშვნელი სიტყვების ამოცნობა/გადაწერა. მოსწავლეებმა შეძლეს ინსტრუქციის გაგება და დავალებების დამოუკიდებლად შესრულება.

კარგად გამოიკვეთა:

- საბაზისო ლექსიკური მარაგის ფლობა;
- ტექსტიდან ინფორმაციის ამოცნობის უნარი;
- სიტყვებისა და ვიზუალური მასალის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი;
- მარტივი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება.

ყველაზე მეტად სირთულე გამოვლინდა I დავალებაში, რომელიც ამინდზე მცირე მოთხრობის შედგენას ითვალისწინებდა. აღნიშნულ თემაზე მოსწავლეებს ადრე ძირითადად შესრულებული ჰქონდათ მარტივი ტიპის სავარჯიშოები — სიტყვების შეერთება, ამოცნობა, ხაზგასმა და მსგავსი აქტივობები, ხოლო დამოუკიდებელი ტექსტის შედგენაზე ნაკლებად იყო გამახვილებული ყურადღება. გარდა ამისა, მოცემულ საკითხზე შედარებით მცირე დრო იყო დათმობილი და მასალა შედარებით დიდი ხნის წინ ჰქონდათ ნასწავლი რამაც გამოავლინა ეს შედეგი.

მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა ნაწილმა შეძლო ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გახსენება, თუმცა გამოვლინდა ორთოგრაფიული შეცდომები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეებს ესაჭიროებათ მეტი პრაქტიკა წერითი უნარების, აზრის ჩამოყალიბებისა და ლექსიკური ერთეულების კონტექსტურად გამოყენების მიმართულებით.

საერთო ჯამში, სადირექტორო წერის შედეგები დადებითად შეფასდა და აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ საბაზისო ცოდნასა და უნარებს.

1 სსსმ მოსწავლეა ჯგუფში რომელმაც დაწერა ადაპტირებული ტესტი მასწავლებლის დახმარებით.